ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის მიერ ბავშვთა ფიზიკური შრომის ყველაზე მძიმე ფორმების სფეროში 2020 წელს მოპოვებული მონაცემები

საქართველო

2020 წელს საქართველომ საშუალო ხარისხის წინსვლა განახორციელა ბავშვთა ფიზიკური შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აღმოფხვრის სფეროში. მთავრობამ მიიღო შესწორებები შრომის კანონმდებლობაში, სადაც უფრო ვრცლად და ნათლად ჩამოყალიბდა შრომის ინსპექციის სამსახურის როლი და მოვალეობები. ივნისის დასაწყისში მთავრობამ ასევე დანერგა ახალი კანონმდებლობა ბავშვთა უფლებების თაობაზე. გარდა ამისა, ჯანდაცვის მინისტრმა დაამტკიცა დეკრეტი, სადაც განსაზღვრულია საშიში სამუშაო და მსუბუქი სამუშაო, და ასევე იმ სამუშაოების სია, რომლებიც აკრძალულია 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. COVID-19-ის მიერ შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა განახორციელა ბავშვთა შრომის და ადამიანების ტრეფიკინგის სფეროების მიმართ, მათ შორის დანერგა რამდენიმე პროგრამა მოსახლეობის დაუცველი ნაწილისათვის დამატებითი მხარდაჭერის მიწოდების მიზნით. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბავშვები ექვემდებარებიან ყველაზე მძიმე ფიზიკურ შრომას, იძულებითი მათხოვრობის ჩათვლით, რაც ზოგჯერ ადამიანების ტრეფიკინგის შედეგს წარმოადგენს. ბავშვები ასევე ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო შრომაში. მიუხედავად იმ არსებითი ძალისხმევისა, რომელიც მთავრობამ გასწია ყველა საჭირო სფეროში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შრომის კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს შრომისათვის შესაფერის მინიმალურ ასაკს, არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან ის არ ეხება არაფორმალურ შრომას. აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსი არ კრძალავს კატეგორიულად ბავშვების გამოყენებას არაკანონიერ ქმედებაში. უფრო მეტიც, სავალდებულო განათლების ასაკი 15 წლის ბავშვებს დაუცველს ტოვებს შრომის ყველაზე მძიმე ფორმების მიმართ, რადგან მათ არ მოეთხოვებათ სკოლაში სიარული, მაგრამ არც სრული დატვირთვით შრომის უფლება გააჩნიათ.

მთავრობისათვის შეთავაზებული რეკომენდაციები საქართველოში ბავშვების ფიზიკური შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აღმოფხვრის მისაღწევად

წინამდებარე ანგარიშის საფუძველზე, საქართველოში ბავშვების შრომის აღმოფხვრას შემდეგი ზომების მიღება შეუწყობს ხელს:

მთავრობისათვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების ფიზიკური შრომის აღმოფხვრის მისაღწევად		
სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები	რეკომენდირებული დვადები
კანონები	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის მინიმალური ასაკი ეხებოდეს ყველა ბავშვს, არაფორმალურ შრომაში ჩართული ბავშვების ჩათვლით.	2017 – 2020
	სავალდებულო განათლების ასაკის ზღვარის გაზრდა 16 წლამდე, - შრომის დაწყების მინიმალურ ასაკამდე.	2009 – 2020
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის კანონმდებლობაში განსაკუთრებით ნათლად იყოს გაწერილი მსუბუქი შრომა, რათა ბავშვები დაცული იყვნენ მძიმე შრომაში ჩართვისაგან.	2016 – 2020
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად იყოს აკრძალული ბავშვების გამოყენება, დავალება ან შეთავაზება ნარკოტიკების წარმოებაში და გადატანაში.	2019 – 2020
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად იყოს აკრძალული 18 წლამდე ასაკის ბავშვების არასამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებში გაწვევა.	2016 – 2020
აღსრულება	ინსპექციების ჩატარების უზრუნველყოფა ეკონომიკის ყველა სფეროში, - სოფლის მეურნეობის ჩათვლით, - სადაც არსებობს ბავშვების შრომის კანონმდებლობის დარღვევის შესაძლებლობა.	2019 – 2020
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული შრომის დეპარტამენტის ინსპექციას გააჩნდეს საკმარისი დაფინანსება, რათა სამსახურში იყავდეს ინსპექტორების საკმარისი რაოდენობა, და რომ ამ ინსპექტორებს შეეძლოთ განახორციელონ მაღალი ხარისხის, საჩივარზე დაფუძნებული,	2009 – 2020

მთავრობისათვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების ფიზიკური შრომის აღმოფხვრის მისაღწევად		
სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები	რეკომენდირებული დვადები
	წინასწარ გამოუცხადებელი ინსპექციები ყველა სფეროში და ბიზნესში, ყველა შრომის კანონის გათვალისწინებით.	
	შრომის ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური რეკომენდაციების შესაბამისად, ბავშვების შრომის მონიტორინგის და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.	2018 – 2020
კოორდინირება	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შრომის დეპარტამენტის ინსპექციას და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის კოორდინირების უწყვეტი ზრდა.	2018 – 2020
მთავრობის პოლიტიკა	ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმართული იქნება ბავშვების შრომის ყველა შესაბამისი ფორმის აღმოფხვრისაკენ, ბავშვების სოფლის მეურნეობაში შრომის ჩათვლით.	2017 – 2020
სოციალური პროგრამები	მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება ბავშვების შრომის მასშტაბების და თავისებურებების თაობაზე, - სოფლის მეურნეობის სფეროში ბავშვების შრომის გამოყენების ჩათვლით, - პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების და პროგრამებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.	2018 – 2020
	დამატებითი ძალისხმევის გაღება, რათა რეგისტრირებული იყვნენ ბოშათა დასახლებების ბავშვები, გაიცეს მათზე პირადობის მოწმობები, და უზრუნველყოფილი იყოს მათთვის განათლების მისაწვდომობა.	2018 – 2020
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, ღარიბი ოჯახების ბავშვებითვის, და პერიფერიებში მცხოვრები ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი იყოს განათლება.	2019 – 2020

მთავრობისათვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების ფიზიკური შრომის აღმოფხვრის მისაღწევად		
სფერო	რეკომენდირებული ღონისძიებები	რეკომენდირებული დვადები
	არსებული პროგრამების გაფართოება, რათა ეს პროგრამები მუშაობდნენ ბავშვების შრომის პრობლემებზე, განსაკუთრებით ქუჩის ბავშვების პრობლემებზე.	2018 – 2020